



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მანჯკვალას მატყუარა



მანჯკვალას მატყუარა

მანჯკვალას მატყუარა (*Hypholoma fasciculare*), შხამიანი ქუდიანი სოკო სტროფარიასებრთა ოჯახისა. აქვს მომწვანო-ყვითელი, შუაში მონითალო ქუდი, რ-იც თავდაპირველად ზარისებრია, შემდეგ – გაშლილი. მისი დიამეტრი 2–5 სმ აღწევს. ფეხი ქუდისკენ მოყვითალოა, ძირისკენ – მოყვითალო-ყავისფერი; აქვს საყელო, რ-იც მალე ქრება. ფირფიტები თავიდან მოყვითალოა, შემდეგ კი – მომწვანო-

შავი. იზრდება გამხმარ და დამპალ ხეებზე ჯგუფ-ჯგუფად ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. ჰგავს მანჯკვალას. მისგან განსხვავდება ქუდისა და ფირფიტების ფერით.

**ი. ნახუცრიშვილი**

---